# ბიუჯეტი

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებები (6 თვის მდგომარეობით) შეადგენს 26 089.6 ათ. ლარს. ბიუჯეტის შემოსულობების 72.9 პროცენტს (15 976.5 ათ. ლარი) მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლები შეადგენს. მათ შორის, აღსანიშნავია დამატებითი ღირებულების გადასახადი, რომელზეც საკუთარი შემოსავლების 15.5 პროცენტი (3 398.5 ათ. ლარი) მოდის. არასაკუთარი შემოსავლები ძირითადად შედგება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერისგან, რომელიც მუნიციპალიტეტს ყოველწლიურად გამოეყოფა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად.

## 2019 წლის ბიუჯეტის მიმოხილვა (6 თვე)

2019 წელს დაგეგმილია ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები 21 911.8 ათ. ლარი, მათ შორის გადასახადები 12 198.5 ათ. ლარი, გრანტები 6 228.3 ათ. ლარი, სხვა შემოსავლები 3 185.0 ათასი ლარი, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავალი 300.0 ათ. ლარი.

2019 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი შეადგენს 6 195.3 ათ. ლარს. აქედან დაფინანსდება მრავალსართულიანი ს/სახლების სახურავების კაპ. რემონტი, მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობა, საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (გათბობის სიტემის მოწყობა), ბარათაშვილის ქუჩიდან ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი და მალთაყვის სანაპირო ზოლის (ბულვარის) შემაერთებელი გზის მოწყობა, ცენტრალური ქუჩების ტროტუარების კეთილმოწყობა, მდინარე კაპარჭის გაწმენდა, პალიასტომის ტბის ჰიდროდინამიური რეჟიმის აღდგენა, ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაცია, მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაცია, ქუჩების არსებული გარე განათების ქსელის ლედ სანათებით ჩანაცვლება, N1, N3, N4, N5, N , N7, N8, N15 საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

2019 წელს ასევე დაფინანსდება, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებლი პროექტების ფონდიდან გასულ წელს გამოყოფილი თანხებით, შემდეგი ღონისძიებები: მრავალსართულიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაცია, მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობა, მინი სტადიონების სარემონტო სამუშაოები, მალთაყვის სანაპირო

ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაცია, სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სახურავების კაპ. შეკეთება.

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში 2019 წლის 6 თვეში დაფინანსდა შემდეგი ღონისძიებები:

**1. ეკონომიკური საქმიანობის** ღონისძიებებზე დაიხარჯა 806.5 ათ. ლარი. მათ შორის:

- ქუჩებში სათვალთვალო ვიდეოკამარების მოწყობაზე - 6.0 ათ. ლარი.
- ბარათაშვილის ქუჩიდან ყოფილი ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე გამავალი და მალთაყვის სანაპირო ზოლის (ბულვარის) შემაერთებელი გზის მოწყობაზე - 779.7 ათ. ლარი.
- საავტომობილო გზების სამშენებლო, სარეაბილიტაციო, ნაპირდაცვის, სახიდე გადასასვლელების სამშენებლო, სარეაბილიტაციო ობიექტებისა და სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისათვის საჭირო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე - 20.8 ათ. ლარი.

**2. გარემოს დაცვის** ღონისძიებები დაფინანსდა 12.0 ათ. ლარით. მათ შორის:

ა) ჩამდინარე წყლების მართვა დაფინანსდა 12.0 ათ. ლარით. აღნიშნული თანხა მოხმარდა სატუმბო სადგურების ელ. ენერგიის ხარჯებს.

**3. საბინაო კომუნალური მეურნეობა** დაფინანსდა 3 272.6 ათ. ლარით. მათ შორის:

ა) ბინათმშენებლობისთვის დაიხარჯა 818.6 ათ. ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდა:

- მრავალსართულიანი ს/სახლების სახურავების კაპ. რემონტს - 156.4 ათ. ლარი.
- მრავალსართულიანი ს/სახლების სახურავების რეაბილიტაციას - 635.4 ათ. ლარი.
- მრავალსართულიანი ს/სახლების სახურავების კაპ. შეკეთების პროექტირებას - 6.9 ათ. ლარი.
- დავით აღმაშენებლის ქ. N14, N16, N21 ს/სახლების ექსპერტიზას - 2.5 ათ. ლარი.
- მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების მოვლა-პატრონობას - 9.7 ათ. ლარი.
- მრავალსართულიანი ს/სახლების ლიფტების რეაბილიტაციის პროექტირებას - 7.7 ათ. ლარი.

ბ) კომუნალური მეურნეობის განვითარებისათვის დაიხარჯა 552.3 ათ. ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდა:

- მრავალბინიანი ს/სახლების ეზოების კეთილმოწყობას - 382.5 ათ. ლარი.
- დიდების მემორიალის კაპ. შეკეთებას - 64.4 ათ. ლარი.
- მალთაყვის სანაპირო ზოლის (მათ შორის მისასვლელი გზის) რეაბილიტაციას - 105.4 ათ. ლარი.

გ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაციისათვის ხარჯმა შეადგინა 370.9 ათ. ლარი. აღნიშნული თანხა მოხმარდა გარე განათების ელ.ენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.

დ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში დაფინანსდა 1 530.8 ათ. ლარით. მათ შორის:

- უმეთვალყურეოდ დარჩენილი ცხოველების (მაწანწალა ძაღლები) დაჭერა-იზოლირებისათვის დაიხარჯა 17.7 ათ. ლარი.
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სერვისების ცენტრი“ დაფინანსდა 1 274.3 ათ. ლარით.
- ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასაფლაოების მოვლა-პატრონობის ცენტრი“ დაფინანსდა 42.4 ათ. ლარით.
- საპროექტო დოკუმენტაციისა და სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის მომსახურებისათვის ხარჯმა შეადგინა 196.4 ათ. ლარი.

**4. ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებების** დაფინანსებამ 290.2 ათ. ლარი შეადგინა. მათ შორის:

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“) დაფინანსდა 76.1 ათ. ლარით.

ბ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში დაფინანსდა 214.1 ათ. ლარით. მათ შორის:

- მოსახლეობის სტაციონარული მკურნალობის პროგრამა დაფინანსდა 137.5 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 353 მოქალაქეს.
- მოსახლეობის მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამა დაფინანსდა 46.2 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 492 მოქალაქეს.
- გინეკოლოგიურ დაავადებათა გამოკვლევისა და პროფილაქტიკის პროგრამისათვის ხარჯმა შეადგინა 3.2 ათ. ლარი. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 112 მოქალაქემ.
- სასმელი, სარეკრეაციო და ჩამდინარე წყლების სანიტარულ-ბაქტერიოლოგიური და სანიტარულ-ქიმიური გამოკვლევის პროგრამის დაფინანსებამ 8.5 ათ. ლარი შეადგინა.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის დაფინანსების პროგრამის ხარჯმა 16.7 ათ. ლარი შეადგინა. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 30 ბავშვმა.
- ფენილკეტონურიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის ხარჯმა შეადგინა 2.0 ათ. ლარი. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 2 ბავშვმა.

**5. სოციალური დაცვის ღონისძიებების** დაფინანსებამ შეადგინა 615.1 ათ. ლარი. მათ შორის:

ა) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვის პროგრამა დაფინანსდა 228.0 ათ. ლარით. მათ შორის:

- მარტოხელა მშობელთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 29.5 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ყოველთვიური დახმარება გაეწია დაახლოებით 103 მოქალაქეს.
- ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ბავშვთა ცენტრის“ პროგრამა დაფინანსდა 44.0 ათ. ლარით. აღნიშნულ ცენტრში ოჯახურ გარემოში ცხოვრობს 10 ბავშვი.
- 2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპულთა ოჯახების ყოველთვიური მატერიალური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 4.8 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ყოველთვიურად დახმარება გაეწია 4 ოჯახს.
- მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, ამავე ომის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სხვა სახელმწიფოთა ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლის მონაწილეთა დახმარების პროგრამა დაფინანსდა 7.2 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 29 მოქალაქეს.
- ახალშობილთა ოჯახების დახმარების პროგრამა დაფინანსდა 10.5 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 105 ოჯახმა.
- მრავალშვილიანი ოჯახების ყოველთვიური დახმარების პროგრამა დაფინანსდა 91.8 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 237 ოჯახმა.
- უსინათლოების მატერიალური დახმარების პროგრამა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად დაფინანსდა 13.5 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით ისარგებლა 59 მოქალაქემ.
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დღის ცენტრის დახმარების პროგრამა კომუნალური გადასახადების დასაფინანსებლად დაფინანსდა 3.8 ათ. ლარით.
- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ავადმყოფთა და დიალიზის პროგრამაში მონაწილეთა ტრანსპორტირების პროგრამის ხარჯმა შეადგინა 22.9 ათ. ლარი. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია 27 მოქალაქეს.

ბ) სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში დაფინანსდა 372.7 ათ. ლარით. მათ შორის:

- კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების პროგრამის დაფინანსებამ შეადგინა 10.5 ათ. ლარი. აღნიშნული თანხიდან, ერთჯერადი მატერიალური დახმარება 300 ლარის ოდენობით გაეწია 2 ოჯახს, ხოლო ჩასასვენებელი ჭურჭელი შესყიდულ იქნა 46 განსვენებულზე.
- საქალაქო ავტობუსების სუბსიდირების ხარჯები დაფინანსდა 33.4 ათ. ლარით.
- სადღესასწაულო დღეებთან დაკავშირებული დახმარების პროგრამა დაფინანსდა 28,7 ათ. ლარით. აღნიშნული პროგრამით დახმარება გაეწია სულ 239 მოქალაქეს:
  - 17 წლამდე ასაკის დედითა და დედ-მამით ობლებს

- 1989 წლის 9 აპრილის  მონაწილეს
- ქალაქის წინაშე განსაკუთრებული დამსახურების მქონე პენსიონრებს
- შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 17 წლამდე ასაკის მოზარდებს

➢ ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური კვლევის ცენტრი“ დაფინანსდა 164,6 ათ. ლარით.
➢ ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სოციალური და სამედიცინო რეაბილიტაციის ცენტრი“ დაფინანსდა 135.5 ათ. ლარით. აღნიშნულ სერვისით მომსახურება გაეწია 275 ბენეფიციარს.

დ) სარეზერვო ფონდიდან მოქალაქეებისათვის სხვადასხვა დახმარების გაწევისათვის დაიხარჯა 14.4 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით დახმარება გაეწია 16 მოქალაქეს.

**6. დასვენება, კულტურა და რელიგია** დაფინანსებამ 1 438.7 ათ. ლარი შეადგინა. მათ შორის:

6.1.  სპორტის სფერო დაფინანსდა 771.8 ათ. ლარით. მათ შორის:

ა) ა(ა)იპ „სკოლისგარეშე სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულება - რაგბის სასპორტო სკოლა“ დაფინანსდა 67.4 ათ. ლარით.

ბ) ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქის-ფოთის ხელბურთის კლუბი ოქროს ვერძი“ დაფინანსდა 42.5 ათ. ლარით.

გ) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სასპორტო საგანმანათლებლო დაწესებულებათა გაერთიანება“ დაფინანსდა 521.6 ათ. ლარით.

დ) ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები დაფინანსებამ 32.1 ათ. ლარი შეადგინა. მათ შორის:

➢ ევროკავშირისა და ნატოს დღეები ფოთში - 2.2 ათ. ლარი.
➢ წარმატებულ სპორტსმენებზე და მწვრთნელებზე გასაცემი ფულადი ჯილდო - 4.5 ათ. ლარი.
➢ წლის საუკეთესო სპორტსმენებისა და მწვრთნელების დაჯილდოება - 6.9 ათ. ლარი.
➢ რეგიონალური სასკოლო ოლიმპიადისთვის მხიარულ სტარტებში, მინი ფეხბურთში, მინი კალათბურთში (3X3) და ხელბურთში მონაწილეების ფორმებით უზრუნველყოფა- 1.9 ათ. ლარი.
➢ ზურაბ სარსანიას სახელობის საერთაშორისო ტურნირი კრივში - 4.9 ათ. ლარი.
➢ ვ. კრატასიუკის სახელობის საერთაშორისო "რეგატა" საბაიდარო და კანოეთ ნიჩბოსნობაში - 2.4 ათ. ლარი.
➢ ინტელექტუალური თამაშები - 2.5 ათ. ლარი.
➢ სხვა გაუთვალისწინებელი სპორტული და ახალგაზრდული ღონისძიებები - 2.2 ათ. ლარი. აღნიშნული თანხით დაფინანსდა: რეგიონალური ტურნირი მინი კალათბურთში 3X3 (გოგონები და ვაჟები) ღონისძიების მომსახურება.
➢ სხვადასხვა სპორტულ და ახალგაზრდულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება - 4.6 ათ. ლარი.

ე) მინი სტადიონების სარემონტო სამუშაოები - 22.9 ათ. ლარი.

ვ) სტადიონის რეაბილიტაცია - 85.3 ათ. ლარი.

6.2. კულტურის სფერო დაფინანსდა 556.2 ათ. ლარით.

ა) ა(ა)იპ „ა. ხორავას სახელობის სკოლისგარეშე სახელოვნებო სასწავლებელი“ დაფინანსდა 100.6 ათ. ლარით.

ბ) ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის საბიბლიოთეკო გაერთიანება“ დაფინანსდა 61.0 ათ. ლარით.

გ) ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო ცენტრი“ დაფინანსდა 233.2 ათ. ლარით.

დ) სსიპ „ქ. ფოთის ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრი“ დაფინანსდა 9.2 ათ. ლარით. აღნიშნული თანხა დაიხარჯა რეგიონალური თეატრების ფოთის სართაშორისო წინასაფესტივალო მოსამზადებელი სამუშაო შეხვედრა-კონფერენციისათვის.

ე) სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები დაფინანსდა 72.8 ათ. ლარით. მათ შორის:

➢ შობა-ახალი წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 16.6 ათ. ლარი.

- 3-8 მარტი - დედისა და ქალთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 8.1 ათ. ლარი.
- 9 აპრილს დაღუპულთა ხსოვნისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 4.1 ათ. ლარი.
- დედაენის დღე - 3.4 ათ. ლარი.
- 9 მაისი - ფაშიზმზე გამარჯვების დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 1.7 ათ. ლარი.
- ბოლო ზარისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 3.3 ათ. ლარი.
- 1 ივნისი - ბავშვთა უფლებების დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება - 4.5 ათ. ლარი.
- საგანმანათლებლო მედია პროექტი „ეტალონი“ - 3.0 ათ. ლარი.
- საპატიო მოქალაქეთა დაჯილდოება - 3.2 ათ. ლარი.
- ოკუპაციის კვირეული - 2.5 ათ. ლარი.
- ქალაქის დღე - 13.0 ათ. ლარი.
- ქ. ფოთის მუნიციპალიტეტში მოღვაწე კულტურის, ხელოვნების, განათლების მუშაკების, დამსახურებული საზოგადო მოღვაწეების, სხვადასხვა ღონისძიებებში გამარჯვებული ახალგაზრდებისა და სკოლის წარჩინებულ მოსწავლეთა მატერიალური წახალისება (ჯილდო) - 3.4 ათ. ლარი.
- სხვა გაუთვალისწინებელი კულტურული ღონისძიებები - 2.1 ათ. ლარი.
  აღნიშნული თანხით დაფინანსდა: ზვიად გამსახურდიას 80 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება.
- სხვადასხვა კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეთა ტრანსპორტირება - 3.9 ათ. ლარი.

ვ) თეატრის შენობის რეაბილიტაციის პროექტირება დაფინანსდა 22.4 ათ. ლარით.

ზ) ვალერიან გუნიას სახელობის პროფესიული სახელმწიფო თეატრის შენობის რეაბილიტაცია დაფინანსდა 57.0 ათ. ლარით.

6.3. რელიგიის სფერო - უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომის სახელობის ფოთის საკათედრო ტაძარი დაფინანსდა 38.4 ათ. ლარით.

6.4. სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფერო - ა(ა)იპ „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების ცენტრი“ დაფინანსდა 72.3 ათ. ლარით.

**7. განათლების სფერო** დაფინანსდა 1 743.5 ათ. ლარით. მათ შორის:

- ა(ა)იპ „თვითმმართველი ქალაქ ფოთის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანება“ დაფინანსდა 1 305.2 ათ. ლარით.
- საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია (გათბობის სისტემის მოწყობა) დაფინანსდა 159.9 ათ. ლარით. აღნიშნული თანხით მოხდა N1, N6, N10, N16 და N13 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების გაზიფიცირება.
- N11, N12, N13, N14, N15 და N17 სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების კაპ. შეკეთების სამუშაოები დაფინანსდა 57.8 ათ. ლარით.
- სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებების სახურავების კაპ. შეკეთების სამუშაოები დაფინანსდა 188.3 ათ. ლარით.
- N1, N3, N4, N5, N6, N7, N8, N15 საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაფინანსდა 12.9 ათ. ლარით.
- საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა დაფინანსდა 19.4 ათ. ლარით.